სამაგისტრო პროგრამა: კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია

სამაგისტრო ნაშრომი

ვანდერბილტის ენაბორძიკის მქონე ბავშვების მშობლების რეაქციების შკალის (VRYCS) ადაპტაცია/ ვალიდაცია ქართულ პოპულაციაზე

სამაგისტრო ნაშრომის ავტორი: თეა კანდელაკი

ნაშრომის ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2024 წელი

აბსტრაქტი

კვლევის მიზანი: ვანდერბილტის ენაბორძიკის მქონე ბავშვების მშობლების პასუხების თვითანგარიშის კითხვარის ადაპტაცია/ვალდაცია ქართულ პოპულაციაზე.

საკვლევი კითხვა: პირველი საკვლევი კითხვა:ვალიდურია, თუ არა ვანდერბილტის ენისბორძიკის მქონე ბავშვების მშობლების პასუხების თვითანგარიშის კითხვარი ქართულ ენაზე? მეორე საკვლევი კითხვაა:არის თუ არა სტატისტიკური განსხვავება ტიპური განვითარების ბავშვების მშობლებსა და ენაბორძიკის მქონე ბავშვების მშობლების პასუხებს შორის ქართულ პოპულაციაში?

კვლევის მეთოდი: კვაზი-ექსპერიმენტული კვლევა. კვლევაში მონაწილეობდა 256 მშობელი.მონაწილეები გადანაწილდნენ ორი ჯგუფში: ექსპერიმენტული და საკონტროლო. ექსპერიმენტულ ჯგუფში მოხვდნენ: 58 ენაბორძიკის მქონე ბავშვების და შესაძლო ენაბორძიკის მქონე ბავშვების მშობლები,ხოლო საკონტროლო ჯგუფში: 198 ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლები. ორივე ჯგუფმა შეავსო 18 დებულებიანი ვანდერბილტის ენისბორძიკის მქონე ბავშვების მშობლების რეაქციების ქართულად ნათარგმნი კითხვარი. ყველა მშობელი თანახმა იყო კვლევაში მონაწილეობაზე. კითხვარი შეიქმნა როგორც ბეჭდური, ისე ონლაინ ვერსიით.

შედეგები: მოცემული ინსტრუმენტი სტატისტიკურად ვალიდური და სანდოა (კრომბახის ალფა=0.81) კითხვარი ადაპტირებულია ქართულ პოპულაციაზე. რაც შეეხება განსხვავებას მშობლების პასუხებს შორის, სტატისტიკურად სანდო განსხვავება მივიღეთ ჯგუფებს შორის. ONE WAY ANOVA-ს ანალიზით გამოჩნდა რომ ენისბორძიკის მქონე ბავშვების მშობლები, ისეთ დებულებებზე როგორიცაა: „ვიძაბებოდი ჩემი შვილის მეტყველებისას, ვასრულებდი სიტყვებს, წინადადებას, მის ნაცვლად, ვთხოვდი ბავშვს დაფიქრებას სანამ რამეს იტყოდა, ვთხოვდი ბავშვს მეტყველების შენელებას და ბავშვის მეტყველება მაღელვებდა. დებულებეზე ყველაზე ხშირად გაცემული პასუხები იყო 2-ხანდახან, 3-ხშირად. როცა ტიპური განვითარების მშობლების პასუხები იყო: 0-არასდროს და 1-იშვიათად.

დასკვნა: მოცემული კითხარის ადაპტაცია/ვალიდაცია ქართულ პოპულაციაზე წარმატებით განხორციელდა. კითხვარის გამოყენება შესაძლებელია, როგორც ენისა და მეტყველების თერაპევტებისთვის, ისე ენისბორძიკის მქონე ბავშვების მშობლებისთვის, როგორც თვითანგარიშის კითხვარი ინტერვენციის პროცესში.

საკვანძო სიტყვები: თვითანგარიშის კითხვარი, ენაბორძკი, მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკა, ადაპტაცია, ვალიდაცია.

Abstract

purpose of the research: adaptation/validation of the Vanderbilt Responses to Your Child's Speech (VRYCS) rating scale for the Georgian population.

Research question: The first research question: Is Vanderbilt Responses to Your Child's Speech (VRYCS) rating scale valid in Georgian? **The second research question** : Is there a statistical difference between the responses of parents of children with typical development and parents whos children has stuttering in Georgian population?

Method: quasi-experimental research. Participants were divided into two groups: experimental and control. The experimental group included: parents of children with stuttering and possible stuttering, the control group: parents of children with typical development. Both groups filled out the 18-item Vanderbilt Responses to Your Child's Speech (VRYCS) rating scale translated into Georgian. Parents selected in both groups agreed to participate in the study. The questionnaire was created in both a printed and an online version.

Results: Vanderbilt Responses to Your Child's Speech (VRYCS) rating scale is statistically valid and reliable (Krombach's alpha=0.81) for Georgian population. As for the difference between the answers of the parents, we get a statistically significant difference with ONE WAY ANOVA. The parents of children who stutter responded on statements such as: "I was tense when my child spoke, I finished the words, the sentence, instead of him, I asked the child to think before saying something, I asked the child to slow down his speech, the child's speech made me nervous answers were 2-sometimes 3-often. When parents of typical development children answered 0-never and 1-rarely.

Conclusion: the adaptation/validation of this questionnaire was successfully carried out on the Georgian population, and the questionnaire can be used both for language and speech therapists and for parents of stuttering children as a self-report questionnaire in the intervention process.

Key words: Self-report questionnaire, Stuttering, evidence-based practice, adaptation, validation.

მადლობა

მსურს, ყველა იმ ადამიანს გადავუხადო მადლობა ,ვისაც მცირე წვლილი მაინც მიუძღვის კვლევის პროცესში.

დიდი მადლობა, კვლებაში მონაწილე მშობლებს საკუთარი დამოკიდებულების გაზიარებისა და დროის დათმობისთვის.